საქართველოს მთავრობის

დადგენილება №666

2015 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საბრძოლო მასალის განკარგვის შესახებ

მუხლი 1

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საბრძოლო მასალის (თანმხლები ტექნიკური დოკუმენტაციით) განკარგვა განხორციელდეს ამ დადგენილების შესაბამისად.

მუხლი 2

საბრძოლო მასალის განკარგვა ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით.

მუხლი 3

1. საბრძოლო მასალის განკარგვის ინიცირების უფლება აქვს სახელმწიფო ორგანოს, რომლის ბალანსზეც ირიცხება საბრძოლო მასალა.
2. საბრძოლო მასალის განკარგვის ინიცირების საფუძველია უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს დასაბუთებული შუამდგომლობა.

3. საბრძოლო მასალის განკარგვა დასაშვებია საქართველოს მიერ, უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოსთვის სამართლებრივი დახმარების ფარგლებში, თუ მას საბრძოლო მასალა ესაჭიროება საგამოძიებო მიზნებიდან გამომდინარე.

4. საბრძოლო მასალა უცხო ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს გადაეცემა უსასყიდლოდ.

მუხლი 4

განკარგული საბრძოლო მასალის საქართველოდან ექსპორტი ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**